გაზეთი ღირს

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
| --- | --- | --- | --- |
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

# ივერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათ-დასაბეჭდათ უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, კუკიაში, ავჭალის ქუჩაზედ, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკისეულს სახლებში; წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელიარიას, სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში, სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა. ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეკი.

1877—1892 სა პოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1892



გაზეთი „ივერია“ მარტის პირველიდამ წლის დამლევამდე ღირს 8 მან. 75 კაპ.



ქართული თეატრი

პარასკევს, 13 მარტს,

ქ-ნ **ძნელაძისა**, ბ-ნთ **აბაშიძესი**, **ივერიელისა** და **საოპერო ქალთა და კაცთა ხორის** მონაწილეობით

წარმოდგენილი იქნება

**მეორედ:**

## ნატვრის თვალი

კომიკური ოპერა 3 მოქ., მუსიკა ოდრანისა, თარგ. ა. ახნაზაროვის მიერ.

მოთამაშენი: ქ-ნნი ძნელაძისა, არლანი; ბ-ნნი აბაშიძე, ივერიელი, შათირიშვილი, დოდაშვილი, ადამიძე, ავალიანი და სხ.

დირიჟორი ბ-ნი ფალიაშვილი.

რეჟისორი ბ-ნი ბიაზი.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია.

დასაწყისი 8 საათზედ.

ბილეთები ამ თავითვე კასაში ისყიდება.



დღეს, 11 მარტს, საღამოს 8 საათზედ,

**ტფილისის** კრუჟოკში

დანიშნულია მეორე ლექცია რუსეთში დამშეულთა სასარგებლოდ. ლექციას წაიკითხავს დ-რი ვ. არწრუნი: „დაწვრილებული ამბავი ჰიპნოტიზმისა“

(ზუნდოვანის სურათებით).

(1—0—1)


## ახალი ამბავი

*** კავკასიის მთავარ-მართებელი გენერალ-ადიუტანტი ს. ა. შერემეტიევი დღეს მოსკოვში გაემგზავრება, რადგანაც უმაღლესად დათხოვნილ იქმნა თანამდებობიდგან 28 დღის ვადით.

*** ქალაქის გამგეობა სცდილობს ჩქარა გაათაოს გამოკვლევა მასალისა იმის შესახებ, თუ როგორ და რა გზით უნდა იქმნას გამართული მუშა ხალხისათვის სამკურალო ტფილისში. ამისათვის გამოწერილ იქმნა წესდებანი მოსკოვისა და პეტერბურგის ამ გვარისავე სამკურნალოებისა. მოსკოვში, მაგალითად, დაწესებულია ხარჯი მუშა-კაცზედაც და დედაკაცზედაც თითო მანეთი და ხუთი შაური გარდასახადი. ამისთანა ხარჯი წელიწადში შემოდის ნახევარ მილიონი მანეთი, რომლითაც მოსკოვი უძლევება თავის სამკურნალოების საქმეს. ტფილისში განზრახულია დააწესონ თითო მანეთი გარდასახადი. იმედია, საკმაო ფული შესდგეს ამ გარდასახადისგან. ეს ხარჯი იმისთვის იქნება მოხმარებული, რომ მუშა ხალხს ჰქონდეს თავშესაფარი ავადმყოფობის დროს. დღეს-კი უფულობისა და უპატრონობის გამო მუშა ხალხი ღვთის ანაბარას არის დატოვებული და არა თუ თითონ ვერ მოუპოვებია შელავათი ავადმყოფობის დროს, ხშირად გადამდები სენი უჩნდება და იმისაგან სხვებიცა ჰხდებიან ავად.

*** ზეგ, პარასკევს, 13 მარტს, ქართულს თეატრში წარმოსადგენად დანიშნულია სამ-მოქმედებიანი ოპერეტი ოდრანისა, თარგმნილი ა. ახნაზაროვის მიერ: „ნატვრის თვალი“ („La Mascotte“). „ნატვრის თვალი“ ეს მეორედ და უკანასკნელად იქნება წარმოდგენილი. წარმოდგენაში მონაწილეობას იღებენ ქ-ნნი ძნელაძისა, არლანისა; ბ-ნნი აბაშიძე, ცხომელიძე, დოდაშვილი (ტენორი), რომელიც კონსერვატორიაშია ნასწავლი, შათირიშვილი, ადამიძე, ავალიანი და სხ. რეჟისორად მოწვეულია ბ-ნი ბიაზი და ლოტბარად— ბ-ნი ფალიაშვილი. ეს პირველი წარმოდგენა იქნება ამ ახლად შემდგარ ქართულ საოპერეტო დასისა. მეორე წარმოდგენისათვის დასი ამზადებს ლეკოკის ორ-მოქმედებიანს ოპერეტს „უშიშარი და გულ-მართალი რაინდი“ და ოპერეტსავე ერთს მოქმედებად „მეჯლისი იტალიელებით“. მესამე წარმოდგენისათვის: სამ-მოქმედებიანი ოპერეტი ოფენბახისა: „მოჭიკჭიკე ჩიტები“ და მეორე მოქმედება ოპერიდგან „სტრადელა“. წარმოდგენებს საოპერეტო დასი პარასკეობით გამართავს.

*** მნაცაკანის ხიდთან მარცხენა ნაპირზედ დღემდე ცარიელი ადგილი იყო, საიდგანაც ხალხს დაუდიოდა შინაური პირუტყვი მტკვარზედ წყალის დასალევინებლად. ეხლა-ხან იმ მამულის პატრონმა ბ-ნმა თამამშოვმა ღობის გავლება განიზრახა და მუშაობასაც შეუდგა. ხალხი დიდს გაჭირვებაში ჩაცვივდა, რადგან ახლო-მახლო სხვა ჩასავალი არსადა აქვს მტკვარს ავლაბრიდგან. მაგრამ ეს გაჭირვება ერთი ათად გამწვავდება, როდესაც მეცხვარეები მთისკენ გაამგზავრებენ თავიანთს ცხვარს. ცხვრის ფარები სულ აქ ჩაუდიოდათ მტკვარზედ და ამ ადგილს ასმევდნენ წყალს. ავლაბრის პოლიციის ბოქაულმა სთხოვა გამგეობას, რომ, რადგან ადრინდელი ,თავისუფალი ადგილი დღეს ილობება, სხვა გზა მიეცა ხალხისათვის მტკვარზედ ჩასავალი. გამგეობამ მისწერა ბოქაულს, რომ არ გააკეთებინოთ ღობე ბ-ნ თამამშოვსაო. ბოქაულმა მუშაობა შეაყენებინა, მაგრამ ღობე უკვე იმ სიმაღლეზეა აყვანილი, რომ წყალს მაინც ვერ მიუდგება ხალხი.

*** 8 მარტის კრებაზედ, რომელმაც ამოირჩია დელეგატი სომეხთა კათალიკოზის არჩევანში მონაწილეობის მისაღებად, დიდი ლაპარაკი იყო კრების კანონიერების შესახებ. გაზ. „მშაკის“ რედაქტორმა ბ-ნმა არწრუნმა სთქვა, სხვათა შორის, რომ ეპარქიის უფროსი ეპისკოპოსი მამბრე მოვალეა დაიცვას ის კანონები, რომლის ძალითაც დღევანდელი კრებაა მოწოდებულიო. ამიტომ, რაკი ზოგმა გამოაცხადა, რომ ეს კრება კანონიერ კრებად ვერ ჩაითვლებაო, უნდა მოვისმინოთ, რა საბუთით აცხადებენ ამასაო. მეც იმ ზოგიერთს თანავუგრძნობ და ვგონებ, სრული უაზრობა იქმნება, თქვენო უსამღვდელოესობავ, კანონიერად დავსახოთ დღევანდელი კრება, როგორც ეს თქვენა გსურთო. შემდეგ ბ-ნმა არწრუნმა დაასაბუთა თავისი აზრი და დასტოვა დარბაზი კრებისა. არწრუნს უკან გაჰყვნენ მისნი მომხრენიცა. პატარა ხანს ხმაურობა და ჩოჩქოლი შეიქმნა. მაგრამ კრება მალე დამშვიდდა და „არძაგანკის“ რედაქტორმა ა. იოანესიანმა, გაჰკიცხა რა არწრუნის საქციელი, სთქვა, სხვათა შორის: ძალიან ვწუხვარ, რომ არწრუნი, თუ უკაცრავად არ ვიქნებით, ასე უაზროდ, ასე უგუნურად მოგვექცაო. თავისი სთქვა და ჩვენი-კი აღარ მოისმინაო.

როგორც ვიცით, კრებამ უკვე აირჩია დელეგატად ბ-ნი ა. იოანესიანი და კანდიდატად — ბ-ნი სპანდარიანი. მაგრამ არწრუნს და მის მომხრეებს საჩივარი გაუგზავნიათ ეჩმიაძინის სინოდისათვის, რომ კრება კანონიერი არ იყო, რადგან იმ კრებაზედ არ დაესწრნენ ამომრჩეველნი ავლაბრის ერთის ეკკლესიის მრევლისაო.

*** ნამდვილის წყაროდგან შევიტყეთ, რომ უმაღლესის ბრძანებისამებრ ოზურგეთის მაზრის მცხოვრებელს გიგო მაქსიმეს ძეს დუმბაძეს დაუბრუნდა სრული ღირსება და ყოველივე უფლება, რაიცა სამხედრო

# ფელეტონი

### ყოველ თთვიური პროვინციელისა.

(წერილი გურიიდგან)

თებერვალი

თებერვალმა თავისის კარგის ამინდებით ერთის ნაბიჯით უკვე მოგვიახლოვა გაზაფხული. ზოგიერთი ხეხილი აყვავდა, „მორცხვად თავ-დახრილი ია“, როგორც პოეტები იტყვიან, ნაზად მოგვესალმა და გაზაფხულის მოსვლა გვიმახარობლა. შაშვმა ჩვეულებრივად აარაკრაკა თავისი უცნაური გალობა, თითქოს ყოველთა შემოქმედს მადლობას სწირავს, რომ ზამთრის სუსხს უვნებლად გადარჩა. ერთის სიტყვით, ბუნება ირთვება და იკაზმება, „დრო საქორწილოდ მზადდება“,

გეღება კარი გაზაფხულისა.

მაგრამ რას ვაქნევთ ამ კარის გაღებას, თუ რომ გული ვერ გამოიდარებს და ცხრა-კლიტულში ჩაკეტილი სული სიახლეს ვერაფერში იგრძნობს! რა ხელ-საყრელი და სანუკარია გაზაფხული, თუ გრძნობა-გონებას ზამთრის სუსხი არ მოშორდება!..

გვაჯერებენ, და დასაჯერებელი და სარწმუნოც არის, რომ დიდ-მარხვა სულის განმაახლებელი დ გონების განმასპეტაკებელი არისო.

მარხულობა და სასჯელი
გონების გასაწმენდია-ო,

ამბობს პოეტი. ეს დიდ-მარხვაც ამ თებერვალმა მოგვაყენა კარს და, ვგონებ, ურიგო არ იქნება ორიოდე სიტყვა ამ მარხვის გამო მოგახსენოთ. თუ დიდ-მარხვასა და სასჯელს სულსა და გონებაზედ რამე მოქმედება აქვს, იმ შემთხვევაში გურულებს არაფერი გაგვეპირდება, რადგანაც, მადლობა ღმერთს, მარხვას წმიდად ვინახავთ, ხოლო რაც შეეხება სასჯელსა და სატანჯველს, იმდენი გვაქვს, რომ ჩამოსათვლელად და ასანუსხავადაც ძნელია. მაგრამ არა მგონია, ისეთმა მარხულობამ, როგორიც ჩვენში იციან, ცოდვილს სულს რაიმე შვება მისცეს და იმ სასჯელმა, რომელიც ჩვენ გვადგია, გონება გააგონიეროს.

როგორც მართლ-მორწმუნე ქრისტიანი, დიდ-მარხვის პირველს დღეს ეკკლესიაში მივედი ლოცვის მოსასმენად. იმდენი ხალხი მოგროვილიყო, რომ ეკკლესიაში ტევა აღარ იყო. მღვდელთან ერთად ყველა მუხლს იყრიდა და იმეორებდა საგულისხმიერო სიტყვებს სამღრთო წერილისას: „უფალო და მეუფეო ცხოვრებისა ჩემისაო, სულსა უქმობისასა, მიმომწვლილობისასა, მთავრობის მოყვარებისასა და ცუდად-მეტყუელებისასა ნუ მიმცემ მე... ჰე, უფალო და მეუფეო, მომანიჭე მე განცდად თვისთა ცოდვათა და არა განკითხვად ძმათა თვისთა!“ მლოცველთა რიცხვში ერია, სხვათა შორის, ყველასაგან ცნობილი ხაფანგაძე, რომელიც იმითია შესანიშნავი და ყველასაგან ცნობილი, რომ ფიცის ფურცელი ზეპირად იცის და, რა საქმეც უნდა გამოტყვრეს სასამართლოში, ეს უსათუოდ მოწმეა. როგორც ფიცის ფურცელი, ისე ყოველ გვარი საქმის გარემოება ზეპირად იცის. ამისთანებში ისეა დახელოვნებულია, რომ იმის ნიჭსა და გამჭრიახობას ბევრი გაკვირვებაშიაც მოჰყავს. მეც, რასაკვირველია, სხვასთან ერთად გაკვირვებული და განცვიფრებული ვარ, მაგრამ იმის ნიჭისა და გამჭრიახობის გამო-კი არა, არამედ იმიტომ-რომ ჯერ მართლ-მსაჯულებას ამ კაცისათვის ჯეროვანი საწყაული არ მიუწყავს. არა, ერთი ჰკითხეთ, თუ ღმერთი გწამთ: ეკკლესიაში რა საქმე აქვს და წირვა-ლოცვაში რა წილი უდევს! მაგან რომ თავისი ცოდვები განიცადოს, ხომ ქვას მოიბამს ყელზედ და წყალში გადაეშვება! ვიფიქრე: ეგებ მორჯულდა-მეთქი, და დავმშვიდდი...

მივაველ-მოვავლე მლოცავებს თვალი იმ აზრით, რომ ამ გვარი „მორჯულებული“ ეგებ კიდევ დავინახო-მეთქი, და არც მოვტყუვდი. აგერ ხრიკაძე. ესეც ყველასაგან ცნობილია. ამ კაცის საქმე ცუდად მეტყველობა და ცუდად მჯლაბნელობაა. დღეს შენდა სასარგებლოდ იმეტყველებს ცუდად, ხვალ შენს მოწინაალმდეგესაც დაუჯლაბნის ცუდადვე; შენც აგაფცქვნის რასმე, შენს მოწინაალმდეგესაც გამოსცინცლავს. ორივეს ტყავს გააძრობს, ორივეს გაამტყუნებს, ორივეს გაამართლებს, ხოლო თითონ ყოველ გვარ წყალიდგან მშრალი ამოვა. ამან რომ ცუდად მეტყველობასა და ცუდად მჯლაბნელობას თავი დაანებოს, ვინ იცის, რამდენი კაცი გადარჩებოდა სასამართლოებში ხეტიალს, ტყუილ-უბრალოდ დროს დაკარგვასა და გაღატაკებას. წარმოვიდგინე და გავითვალისწინე, რამდენი კაცი მიუჩვევია ტყუილ-უბრალოდ საჩივრისათვისა, საჩივრის ატეხას რამდენი ნელ-ტკბილი მეზობელი გადაუკიდნია ერთმანეთისათვის, რამდენი „გაუკლიაუზნიკებია“ და რამდენი ადამიანი ეშმაკად გადაუქცევია... აღელვება ველარ შევიკავე და გარედ გამოსვლა დავაპირე.

აქ, ეკკლესიის კარებში, ჯაშუშაძე შემეხეჩა. ამის დანახვამ ხომ მთლად გადამრია. ჯაშუშაძე! იცი, ვინ არის ჯაშუშაძე? მაგას თითონ გვარი უმტკიცებს, რომ კეთილი სული არ არის. ჯაშუშაძე ისეთი კაცია, რომ მაგასთან შედარებით ხაფანგაძეცა და ხრიკაძეც ანგელოზებად მოგეჩვენება. უბედურება ის არის, სამწუხაროსა და საგულისხმიეროს ჯაშუშაძეში იმასა ნახავთ, რომ ეს კაცი საჭირო და სასარგებლო კაცად მიაჩნიათ. ძალიანაც რომ გინდოდეთ, ჯაშუშაძის შესახებ კრინტის დაძვრასაც ვერ მოახერხებთ. იმას დიდი იარაღი აქვს ხელში და დიდის უწყალოებითა და შეუბრალებლობით ჰხმარობს ამ იარაღს. მაგის სიტყვით, ვინ იცის, რამდენი ალალ-მართალი ადამიანი გამომპალა საპყრობილეში, რამდენი კეთილი სული უკეთურობის სახელით მონათლულა? თუ ჯაშუშაძეს თვალში არ მოსდიხართ, ამ ქვეყნად ცხოვრება არ გიწერიათ. იმისი სი-

სასამართლოს განაჩენით ჰქონდა აღდილი.

*** დაიბეჭდა ახალი ქართული წიგნი „ხეხილის დარგვა და მისი მოვლა“ (პრაქტიკული სახელმძღვანელო), შედგენილი სწავლულ ბაღოსანის არჩილ დარუჯანაშვილის მიერ. წიგნი 34 კაბადონიანია და ბოლოს ჩართული აქვს ერთი გძელი ფურცელი, რომელზედაც დასურათებულია 15 სურათით სხვა-და-სხვა სამეურნეო დარიგება.

წიგნი გარეგნობით ლაზათიანია და ღირს ერთი აბაზი.

ეს წიგნი რუსულადაც არის გადათარგმნილი და დაბეჭდილი და ერთი აბაზივე ჰღირს.

*** კავკასიის სააბრეშუმო სადგურის მოხელეს ი. ვ. ალიბეგოვს კახეთში ჰგზავნიან აბრეშუმის მოყვანის საქმის შესასწავლად. ბ-ნს ალიბეგოვს ქართულს ენაზედ პატარა წიგნი დაუწერია აბრეშუმის მოყვანის შესახებ. ეს წიგნი ამ დღეებში დაიბეჭდება და გაზეთ „მეურნეს“ ხელის-მომწერლებს დაურიგდება.

*** კვირას, 15 მარტს, დილის 12 საათზედ, ტფილისის პირველს გიმნაზიაში დანიშნულია კრება ამავე გიმნაზიის ღარიბ მოსწავლეთა დამხმარებელ საზოგადოებისა. საგანნი კრებისა: 1) 1891 წლის ანგარიშის განხილვა; 2) გამგე კომიტეტისა და სარევიზიო კომისიის წევრების არჩევანი და 3) საპატიო წევრების არჩევანი.

*** გზათა სამინისტროში ახალი კომისია შემდგარა, რომელმაც ახალი წესი უნდა შეადგინოს რკინის გზებზედ მატარებლების მიმოსვლისა. ახალის წესით მატარებლებმა უფრო ჩქარა უნდა იაროს და სადგურებზედ ნაკლების ხნით შეჩერდეს. ეს წესი 1 მაისიდგან იქნება შემოღებული.

*** ზოგიერთს რუსულს გაზეთში დაბეჭდილი იყო, რომ ძველი ქაღალდის ფულები 1 მაისიდგან აღარ იმუშავებსო. ეს ხმა ტყუილი გამოდგა: ძველ ქაღალდის ფული 1983 წლის 1 იანვრამდე იმუშავებს.

*** სოფ. ხუმლაგა (კავკავის მაზრა): 9 თებერვალს სოფ. ხუმლაგაში ხუმლაგის მღვდელმა ნესტორ ბაკურაძემ მონათლა მაჰმადიანი ოსი, სოფ. შანაევში მცხოვრები მაჰამედ აილაროვი და სახელად უწოდა გიორგი. მღვდელი ბაკურაძე ერთი თთვე მეტი ამზადებდა მაჰამედ აილაროვს მართლ-მადიდებელ სარწმუნოების მისაღებად. შემდეგ მღვდ. ბაკურაძემ ნება სთხოვა კავკავის ეპისკოპოსს იოანიკეს და ისე მონათლა აილაროვი.

*** ბარის ოსეთი: ამას წინად გაცნობეთ ყაყადურსა და ელხოტს შუა ჩერქეზების დახოცვა. გაცნობეთ აგრეთვე ისიც, რომ ერთს მოკლულს ჩერქეზს თითი მოეკვნიტა ქურდისათვის. ადმინისტრაცია შეუდგა გულმოდგინედ ბოროტ-მოქმედთა კვალის ძებნას და კიდეც მალე იპოვნეს დამნაშავენი. აღმოჩნდა, რომ ბოროტმოქმედნი ორი კაცი იქვე ყაყადურს ახლო სოფლის მცხოვრები არიყელები იყვნენ და ერთიც სოფ. ზილგეელი (ორივე სოფელი კავკავის მაზრაშია). ეს ბოროტ-მოქმედნი სამივენი შეიპყრეს, მაგრამ, როგორც დარწმუნებით შევიტყეთ, შემდეგ ისევ თავდებობით გამოუშვიათ.

## მთავრობის განკარგულებანი

ნადვორნი სოვეტნიკს ალექსი-მესხიშვილს უმაღლესად ებოძა კოლეჟსკი სოვეტნიკობა.

დათხოვნილ იქმნა თანამდებობიდგან ორის თთვის ვადით გზათა სამინისტროს ინჟინერი ტიტულიარნი სოვეტნიკი ფერადოროვი.

## ქალაქის საბჭო

(9 მარტს)

ამ კრებაზედ განხილული იყო მოხსენება გამგეობისა, რა ღონისძიებანი იქმნას მიღებული, რომ ქალაქის მცხოვრებთ ჰქონდეთ საკმაოდ წმინდა სასმელი წყალი. მოხსენებაში ნათქვამი იყო, რომ საჭიროა, ვიდრე შეძლება ხელს შეგვიწყობდეს და ჟინვანის წყაროებს გამოვიყვანდეთ ქალაქში, ეხლავე გავთდეს შემდეგიო: 1) გაიმართოს ავჭალაში ბუნებური წყლის დასაწმენდი, რომ იმის შემწეობით მტკვრის წყალი სუფთავდებოდეს და ემატებოდეს ავჭალის წყაროებს, რაიცა შეჰმატებს ქალაქს 100,000 ვედრო წმინდა წყალს დღეში; 2) გამაგრდეს სამუშაო არხი, რომელიც აწვდის ავჭალის მაშინას საჭირო წყალს, რათა მაშინა არ გაჩერდეს და შეეძლოს ჰგზავნოს ტფილისში მილით წყალი, თორემ დღეს იგი არხი გაფუჭებულია და, თუ მტკვარი ადიდდა, საშიშოა, რომ ვეღარ მიაწვდის წყალსა და მაშინა გაჩერდება; 3) შეუერთდეს ქალაქის მილი ყორღანოვის მილის წყლის ბადეს; 4) მოგროვდეს სათავეში ის წყაროები, საიდგანაც ერთს დროს ოლქის სასამართლოში იყო გაყვანილი წყალი, რომ იმითი ირწყვოდეს ქალაქის ზოგიერთი ქუჩა დასავლეთ ნაწილში და მილის წყალმა-კი დააკმაყოფილოს მცხოვრებთა შინაური საჭიროებანი; 5) მოგროვდეს წყაროები ციციანთ აღმართზედ რიყის ქუჩის სარწყავად; 6) მიხეილის ქუჩა ირწყვოდეს გერმანელთა არხის წყლით და 7) დაიდგას ყოველ სახლთან, სადაც მილის წყალია გაყვანილი, წყლის საწყაო მაშინები, რომ სახლის პატრონებმა დაუდევრად არა ჰხარჯონ წყალი. თანახმად მოხსენებისა, ყოველი ეს ღონისძიება საჭიროა ეხლავ იღონოს ქალაქის საბჭომ, რადგან უამისოდ მცხოვრებნი იმავ დღეში ჩაცვივდებიან წელსაც, რა ყოფაშიაც იყვნენ შარშან ზაფხულსაო. ეს მოხსენება განხილული იყო წინადვე შენობათა კომისიის მიერ, რომელმაც მოიწონა ჩამოთვლილნი ღონისძიებანი; განხილულ და მოწონებულ იქმნა აგრეთვე საფინანსო კომისიის მიერ, ხოლო ამა კომისიის ორი წევრი—ხმოსნები მიქელაძე და ფავლენიშვილი არ დაჰყაბულდნენ მოხსენების სარჩიელს. ხსენებულთა ღონისძიებათა განხორციელებისათვის მოხსენება სთხოვდა საბჭოს 46,000 მანათს.

ხმ. ნიკოლაძე. ყოველ დაწესებულებაში, სადაც-კი უნდა აიღონ ნება-რთვა ახალის ხარჯის გაწევისათვის, წარადგენენ ხოლმე გამოკვლეულს ხარჯთ-აღრიცხვას, რუკებს, შემოწმებულს ნახაზ-ნახატობას, რომლებმაც უნდა ცხადად დაარწმუნოს ის დაწესებულება, საიდგანაც ფულის აღება უნდათ, რომ სწორედ საჭიროა მაგ ფულის გაღებაო. გამგეობას-კი წარმოუდგენია მოხსენება და გვეუბნება—ამა-და-ამ საჭიროებისათვის მოგვინდება თითქმის ამდენი ათასი მანეთი, მეორე საქმისათვის მგონი ამდენი, მესამისათვის დაგვჭირდება თითქმის ესა-და-ესაო. ამისთანა დაუსაბუთებელ ანგარიშებით თქვენ გინდათ გაგვაწევინოთ თითქმის ხუთი ათას თუმნამდე ხარჯი. ასეთი საქმე მოსახერხებელი იყო მაშინ, როდესაც საბჭო ყურ-მოჭრილი ყმა იყო გამგეობისა. ეგ დრო წავიდა. ეხლა ჩვენ საბუთები გვინდა, რომ ჩვენი სინიდისი აღარ გვამხილდეს—ვიდრე არ დარწმუნდით, რა და როგორ იყო საქმე, რად გადაჰყარეთ ქალაქის ფულიო. გარდა მაგისა, დროა დავრწმუნდეთ, რომ ავჭალის წყალის გამოყვანა კარგი საქმე ვერ მოგვიხდა, შევცდით, ტყუილად გადავყარეთ ერთი მილიონი ფული ქალაქისა. რაც ამას იქით მომეტებულ ჯღანებს დავაბლატებთ მაგ საქმეს, მომეტებულს სინანულში ჩავცვივით და ფული კიდევ მაინც დაგვეკარგება. დღეს ერთგან მოუნდება ახალის ფულის დაყრა, ხვალ მეორეგან, და ასე სიარულით ბოლოს იქამდე მივალთ, რომ ერთს მილიონს კიდევ სხვას გადავყრით და მილის წყალი მაინც არ გვექნება. ამიტომ სჯობია ვიგემოთ სიმწარე მაგ დიდის შეცდომისა და პირდაპირ, ვაჟკაცურად მოვკიდოთ ხელი ახალის წყალის გამოყვანას ჟინვანის წყაროებიდგან, საიდამაც შევიძლიან წამოვიღოთ იმდენი სუფთა და მარგებელი წყალი, რომ სამუდამოდ ეყოს ქალაქს.

ხმ. ი. ს. ყორღანოვი. მე ვერ დავეთანხმები ხმოსანს ნიკოლაძეს. თუმცა არა ვარ მომხრე ავჭალის წყალისა, მაგრამ ვერც იმას გირჩევთ, რომ დახარჯულს მილიონზედ ხელი ავიღოთ. მილის წყალი დაიბრუნებს თავისს ხარჯს. ჯერ დღესვე იძლევა ორი ათას ხუთას თუმანს მოგებას. თუ არ გავიღებთ ხარჯსა და არ გავაკეთებთ იმ საჭირო საქმეებს, რომელსაც გვირჩევს მოხსენება, უნდა ეხლავე ხელი ავიღოთ მილიონზედ. ჩემის აზრით, ეგ ხარჯი უნდა გავწიოთ, მით უმეტეს, რომ მაგით იმდენს წყალს შევიძენთ, რომ დახარჯული ფული ისევ მალე დაგვიბრუნდება უკან. გარდა მაგისა, მე საჭიროდ მიმაჩნია გავმართოთ ქალაქის ბოჩკები და ჩვენვე ვუზიდოთ მცხოვრებთ სახლებში წყალი, რადგან ამ ღონისძიებით შევიძლიან წელიწადში თითქმის ექვსი ათასი თუმანი მოგება დავინარჩუნოთ, რაიცა დღეს რჩებათ მეთულუხჩეებსა და მებოჩკეებს. მართალია, ამით ლუკმა პურს გავუწყვეტთ ამათ, მაგრამ რა ვქნათ ამისთანა გაჭირვებაში! დეე, იმათ სხვა სახსარი მოჰნახონ ცხოვრებისათვის.

ქალაქის ინჟინერი ამტკიცებს, რომ ბუნებრივის წყლის დასაწმენდის (ფილტრების) გამართვას მოუნდება სულ 25 ათასი მანეთი, რომელსაც ძლიერ ადვილად დავიბრუნებთ უკან. თანაც შესაძლოა ისეთს ნიადაგს შევხვდეთ, რომ დღეში ორას ვედრაზედ მეტი წყალი დაგვისუფთავდეს, და მაგით ხომ სულ ერთიან გავასწორებთ საქმეს. გარდა მაგისა, გადადეთ ეგ ფული, ვცადოთ, დავხარჯოთ საქმის დაწყებისათვის ორას-სამასი თუმანი და თუ აღმოჩნდა, რომ რიგიანს ნიადაგს ვერ შევხვდით, მაშინ შევწყვიტოთ მუშაობა. ჟინვანის წყაროების გამოყვანას დასჭირდება მილიონ ნახევარი და სადა გვაქვს მაგდენი ფული!

ხმ. კარაპეტოვი. ჩემის აზრით, უეჭველად საჭიროა მაგ ხარჯის გაწევა ავჭალის მილის მოსამართავად. მართალია, დიდი შეცდომა იყო მაგ მილის გამოყვანა—მეტად პატარაა ამოდენა ქალაქისათვის, მაგრამ რაც მო-

---

ტყვა სარწმუნოა. არავინ იმის კვლევა-ძიებაში არ შედის, ჯაშუშაძე მართალს ამბობს, თუ არა. ახლაც ეკკლესიის კარებთან იმიტომ არის ატუზული, რომ თავისს საკბილოს წააწყდეს რასმე და თან გულ-უბრყვილო ხალხსაც ღვთისნიერ კაცად ეჩვენოს. ღმერთო ჩემო, რა ფარისევლობაა, რა თვალის ახვევაა, რომ ჯაშუშაძეც პირჯვარს იწერს, როცა ყოველივე ღვთაებრივი, ყოველივე ადამიანური იმის გულში წაშლილია და წაბილწული!... რაღა ბევრი ვილაპარაკო, ხაფანგაძისა, ხრიკაძისა და ჯაშუშაძის ეკკლესიაში ნახვამ მოსვენება დამიკარგა და, ღმერთო შემცოდე, წირვა-ლოცვის მოსმენაზედაც გული ამიცრუა!

კაცი ცრუ და მოღალატე
ჰხამს ლახვრითა დასაჭრელად,

მაგრამ სად არის ეს ლახვარი და ან იმისთანა მძლეთა-მძლე ვინმე, რომ ლახვარმა გაუჭრას! სად არის სამართალი, რომ „განიკითხოს სოფელი სიმართლით და ერნი სიწრფოებით“!

ლოცვის გამოსვლას ჯერ კიდევ ბევრი აკლდა, როცა ამ მწარე და უნუგეშო ფიქრების გამო ეკკლესია მივატოვე და სახლისაკენ გავწიე. მაგრამ აღშფოთებასა დ აღელვებას თავი მაინც ვერ დავაღწიე. რასაკვირველია, ყოველისავე ამის ხაფანგაძისა, ხრიკაძისა და ჯაშუშაძის ეკკლესიაში შეხვედრა იყო მიზეზი. სადაური მმარხველი და მლოცველი კაცები არიან ესენი, რომ ეკკლესიაში ამოუყვიათ თავი! რა აქვთ საერთო მაგ ეშმაკის კერძებს ან ღმერთთან, ან ადამიანთან! რაც უბედურება და ვაივაგლახი ჩვენს პატარა ქვეყანაში ტრიალებს, სულ მაგათი და მაგისთანების უნარია, და ჰხედავთ, რომ დიდ-მარხვაც თავისდა სასარგებლოდ უნდა გამოიყენონ! ეკკლესიაში ივლიან, ეზიარებიან, რომ ქვეყანა დაარწმუნონ, ვითომ-და სული ჩვენც გვიყვარსო, ცოდვა-მადლს ჩვენც ვარჩევთო. აი, აუშენდათ ოჯახი და ცოლ-შვილმა შეიყვარა ისინი ისე, როგორც იმათ სული უყვარდეთ და ცოდვა-მადლს არჩევდნენ! ა-ა-რ-ა, ვანუგეშებ თან ჩემს თავს, ასე სასოწარკვეთილებაში ჩავარდნაც რომ არ ვარგა! მუდამ იმათი ხომ არ იქნება ბურთი და მოედანი! მოვა დრო, როცა უნდა „განიკითხოს სოფელი სიმართლით და ერნი საწრფოებით“. მაშინ ხომ იმათი შავნი საქმენი გამომჟღავნდება და ბოროტი გულისთქმანი გამოაშკარავდება! მაშასადამე, რადგანაც „ნეტარ არიან მორწმუნენი“, გვწამდეს, რომ ასეთი დრო ახლოა და, თუ ახლო არ არის, დეე სოფელმა თითონვე განიკითხოს თავისი თავი. ეს ფიქრი იყო ამ გაჭირვებულს მდგომარეობაში ჩემი ნუგეში და დიდ-მარხვის პირველი კვირა სწორედ ამ ფიქრში გავატარე.

დადგა მეორე კვირა. ეკკლესიები შეცალიერდა. ხალხი თავისის საქმისთვის წავიდ-წამოვიდა. ხაფანგაძე და ხრიკაძე სასამართლოს ეზოში დაბინადრდნენ, ხოლო ჯაშუშაძე პოლიციის კარებს აეტუზა. აი, ასეთი შედეგი მოჰყვა იმათს მარხვასა და ზიარებას.

**

რას უნდა მიეწეროს ხაფანგაძისა, ხრიკაძისა და ჯაშუშაძის ასეთი თავისუფალი პარპაშობა ცხოვრებაში? რასაკვირველია, იმას, რომ ცხოვრება გახაფანგდა, გახრიკიანდა და გაჯაშუშდა. ჯაშუშაძეები ეხლანდელს დროში ისე მრავალნი არიან, ვითარცა ქვიშანი ზღვისანი და ვარსკვლავნი ცისანი. იმათ არა თუ კერძო ცხოვრებაში შეაქვთ თავიანთი ჰუჰყი, არამედ ბევრ სხვა წმინდა საქმეშიაც.

ცხოვრების გაუკუღმართების ნიშანია ესე ყოველივე. აიღეთ და წაიკითხეთ, თუ არა გჯერათ, ან თუ წაკითხული არა გაქვთ, ის ნომერი ერთის ტფილისის გაზეთისა, რომელშიაც მოთავსებულია წერილი გურიიდგან „იმის გამო, თუ როგორ უნდა ამოიფხვრას ამ მაზრაში ავაზაკობა“. ეს წერილი თავისის შინაარსით იმდენად საეჭვო და სახამუშებელია, რომ გაზეთის რედაქტორი ამ წერილისაგან პასუხის-გებას არა კისრულობს და წერილის ავტორზედ მიუგდია. ვიდრე ამ წერილის წინაალმდეგ რასმეს ვიტყოდეთ, საჭიროა მოკლედ აღვნიშნოთ მისი შინაარსი. ავტორი წერილისა ბ-ნი „კანი“ (ღმერთმა უწყოდეს, ეს „კანი“ კოდალს ჰნიშნავს თუ კომბალს!) დიდის ავტორიტეტობით მოგვითხრობს, რომ მე თითონ გურული ვარ, კარგად ვიცი ჩემთა თანამემამულეთა ზნე-ხასიათი და ჩვეულებაო და ამიტომ, რასაც ვიტყვი, ყველაფერს სარწმუნოსა და დასაჯერს ვიტყვიო. გურიაში თუ ავაზაკობა არის გავრცელებული, ამისი მიზეზი ის არის, რომ გურულები ზარმაცები არიან და კოხტაობის მოყვარულნი, უნდათ მზა-მზარეულად სხვისი ქონება ხელთ იგდონო. ამას გარდა, გურიაში ერთს კაცსაც ვერ მოსძებნით, რომ ავაზაკებს არ თანაუგრძნობდეს და ამ თავზედ ხელ-აღებულ კაცთა მოქმედება არ მოსწონდესო. ამ დიდის და საშიშ ბრალდებისაგან გამორიცხულია მხოლოდ ბრალმდებელი, ავტორი ამ ახირებულისა და მეტისმეტად დამლაშებულის წერილისა. თუ გინდათ მოსპოთ ავაზაკობა გურიაში, პოლიციას ძალა მოუმატეთ, პოლიციელთა რიცხვი გაამრავლეთ და ყველა სოფლელი ხევის-თავად აქციეთო, ბრძანებს ბ-ნი „კანი“. კარგი და პატიოსანი! ღმერთმა კარგი მოგცეთ, კარგი მოსაზრება ეს იყოს, ბ-ნო კანო! იმას რაღა ემჯობინება, რომ მთელი მაზრა პოლიციელებითა და ჯარის-კაცებით აავსოთ, სოფლელებს უბრძანოთ, რომ მიატოვეთ სახლ-კარი, ცოლ-შვილი, ყანა და ბაღჩა, და ვიღაც განადირებულს ადამიანებს გამოუდექითო. ამაზედ მშვენიერი აზრი როგორ-ღა იქნება! ამაზედ უფრო მშვენიერი და „ხელისხელ საგოგმანებელი“ აზრი ისაა, რომ ბ-ნი «კანი» ბრძანებს, ხალხი თანაუგრძნობს ავაზაკებს, ხალხს მოსწონს ავაზაკთა მოქმედებაო. რაკი აქამდე გაკადნიერდა ეს ვაჟბატონი, რომ ამისი თქმა ასე ურცხვად გაჰბედა, ხვალ იმასაც იტყვის, რომ მთელის მაზრას მკვიდრნი აჰყარეთ და

ხდა—მოხდა. ეხლა იმის მეტი აღარა ეშველება-რა, რომ შევაძლებინოთ და დღეში 400 ათასი ვედრო მაინც მივიღოთ იქიდგან.

ქალაქის მოურავი. უნდა მოგახსენოთ, რომ შეუძლებელია მილის წყალი იმ გარემოებაში დავანარჩუნოთ, როგორშიაც იყო შარშან, როდესაც ქალაქის მცხოვრებლებს ვაწვდიდით, წყალს-კი არა, რაღაც მოშხამულს დურდოს. დღეში ოცი მოქალაქე მოდიოდა და მოჰქონდა ბოთლებით წყალი, რომელსაც არ შეეხედებოდა. მე პასუხის-გებიდგან ხელს დავიბან და თქვენ იცით, ნუ გაიღებთ ფრიად საჭირო ხარჯს.

ხმ. მიქელაძე. ნუ თუ წყალი იმიტომ იყო მოშხამული, რომ ავჭალის წყაროებს ავურიეთ მტკვარის წყალი! რას მიბძანებთ, ბატონო: ტფილისი მეხუთე საუკუნიდგანაა გაშენებული, მას აქეთ სულ მტკვარსა სვამდა, არ მოიხიბლა და რაღა ეხლა მოიხიბლება! გამოვუცხადოთ ხალხსა, რომ წმინდა წყალს ვერ მივცემთ და აღარა გვაქვს შეძლება, რომ მტკვრის წყალი დავწმინდოთ. მაშინ ყველანი თითონ დაუწყებენ წყალს წმენდას.

ხმ. შაჯაზიზოვი. სრულიად მართალს ამბობს ხმოსანი მიქელაძე. თუ რამ ხიბალია ჩვენს წყალში, ეგ ალბად ავჭალის წყაროების ბრალია. მტკვარს მაგეთი სენი არა სჭირს. და თუ გეშინიანთ ხალხის მოხიბლვისა, დაანებეთ თავი ავჭალის მილის წყალს, გახსენით მტკვრის გზები და უფლება მიეცით ხალხს, რომ იხმაროს ის წყალი, რომელიც თითონ უნდა.

ხმ. ი. გ. მაჩაბელი. მართალია, მე ვეკუთვნი იმ წევრთ საფინანსო კომისიისას, რომელნიც თანხმანი შეიქმნენ გამგეობის მოხსენებისა, მაგრამ შემდეგ იმ ბაასისა, რომელიც აქ მოვისმინე, უნდა მოგახსენოთ, რომ ძალიან დიდს საფიქრებელში ჩავვარდი, მართლა სასარგებლო იქმნება ახალის ხარჯის გაწევა, თუ ეგ ხარჯი მიემატება ხარჯსა და მილის წყალი მაინც ვერ დააკმაყოფილებს ხალხს, მაინც ვერ მივაწვდით მცხოვრებთ წმინდა წყალს საკმარისად. მით უმეტეს ვერ შემიძლიან დავიმშვიდო სინიდისი მაგ ხარჯის დამტკიცების გამო, რომ ავჭალის მაშინასთან მტკვრის ნაპირი არა გვაქვს გამაგრებული და ერთი რომ ადიდდეს მტკვარი, შესაძლოა ეგ ფილტრებიც უქმად ჩაგვიტაროს, თვით მაშინაც მოგვტაცოს და მთელი მილის წყალი, მილიონად ღირებული, დაგვინგრიოს.

ხმ. მ. გ. მაჩაბელი. მე თუ თანახმა გავხდი საფინანსო კომისიაში და ხელი მოვაწერე მაგ ხარჯის გაღებას, ეგ იმიტომ-რომ ბ-ნმა ქალაქის ინჟინერმა გვითხრა, მაგ ხარჯის გაღებით ჩვენ უეჭველად შეგვემატება დღეში ასი ათასი ვედრა წმინდა წყალიო. დღეს-კი მაგის სიტყვებს სულ აღარ ეტყობა სიმტკიცე. ეგ ამბობს, რომ იქნება შეგვემატოსო, ვცადოთო. არა, ბატონებო, საცდელად მაგდენის ფულის გადაყრას მე ხელს ვერ მოვაწერ.

წევრი გამგეობისა ა. ა. ივანენკო. მე სულ არ გახლავართ მომხრე ავჭალის წყალისა, მაგრამ, ხმოსან ყორღანოვის თქმისა არ იყოს, ვერ დაგეთანხმებით, რომ დახარჯულ მილიონზედ ხელი ავიღოთ. ეგ მილიონი ჩვენ შეგვიძლიან ადვილად დავიბრუნოთ. არც ერთი საქმე არ არის ისეთი, რომ გაკეთდეს ერთხელ და მერე ხარჯი აღარა მოუნდეს-რა. მე ვიცი საჭიროებანი ამ მილის წყალისა და თუ მაგ საჭიროებას დროზედ დავადებთ მალამოს, დროზედ მივეშველებით, უეჭველად დაგვიბრუნდება დახარჯული ფული.

ხმ. ბოლგარსკი. ეგ ხარჯი უნდა უეჭველად გავწიოთ, თორემ თუ კვლავ ჩვენს მილის წყალს დავუმატებთ მღვრიე წყალს მტკვრისას, ერთ-ორ წელიწადს თვით მილები ისე გაგვიფუჭდება, რომ, ხუთი ათას თუმნით-კი არა, იქნება ვეღარც ნახევარ მილიონით აღვადგინოთ ზარალი. თანაც დაჟანგებული მილები მოჰშხამავს წყალსა და ამით გავავრცელებთ ათას გვარს ავადმყოფობას ხალხში.

ხმ. მ. ი. თამამშოვი. მე თუ დავეთანხმე მაგ ხარჯს, იმიტომ დავეთანხმე, სხვათა შორის, რომ ჩვენ პირობა მივეცით ხალხს, სუფთა წყალს მოგცემთო. დღეს-კი ფულს ვართმევთ და წმინდა წყლის მაგიერ რაღაც დურდოს ვაწვდით. ხალხი ამას აღარ გვიყაბულებს. ადგება და სამართალში გვიჩივლებს—ან წმინდა წყალი მოგვეცით, ან არა-და, ფული დაგვიბრუნეთ უკანაო. ამ საჩივრებზედ ჩვენ ერთი ათად უფრო მეტი ხარჯი წაგვივა, ვიდრე ეგ ხუთი ათასი თუმანი, რომელიც საჭიროა მილის წყლის შესაკეთებლად. რადგანაც ამ საქმეში საჭიროა თანხმობა საბჭოს წევრთა შორის, მე მგონია, ამ თანხმობას ჩამოვაგდებდით და ყველანიც დაგვჯერდებოდნენ, უკეთუ დავადგენთ შემდეგს განაჩენს: მივცეთ გამგეობას უფლება დაჰხარჯოს ხუთასი თუმანი ფული და გამოიკვლიოს, შესაძლოა თუ არა სათანადო ფილტრების გამართვა ავჭალაში. თუ მართლა აღმოჩნდა ისეთი ნიადაგი, რომელიც დაგვიწმენდს ასი ათასს ვედრო წყალს დღეში, მაშინ გამგეობამ კვლავ შემოიტანოს თავისი წინადადება და საბჭოც უეჭველია მისცემს დანარჩენს ფულს, რომ საქმე შესრულდეს.

ხმის ჩამოტარების შემდეგ აღმოჩნდა ამ წინადადების მომხრე 19 ხმოსანი, ე. ი. უმეტესობა. შემდეგ კენჭი უყარეს წინადადებას, საჭიროა თუ არა დახარჯვა ექვსასის თუმნისა, რომ სამუშაო არხი ჯეროვანად იქმნას მომართული და მაშინას შეეძლოს დაუბრკოლებლივ მუშაობაო. ეს წინადადებაც ხმის უმეტესობით შეწყნარებულ იქმნა საბჭოს მიერ. დანარჩენ ღონისძიებათა განხილვა გადაიდო შემდეგის ორშაბათისათვის, რადგან თითქმის შუაღამემდის მოუნდა საბჭო უკვე გარდაწყვეტილ საგნების განხილვას.

## რუსეთი

წარსულს წელს კიევში მეორე კრება მოხდა სოფლის მეურნეთა და სხვათა შორის უმაღლეს საგრონომიო სწავლა-განათლების შესახებაც ჰქონდა სჯა. ყველასათვის ცხადია, რომ რუსეთი ძლიერ ჰსაჭიროებს საგრონომიო სწავლა-ცოდნას, მაგრამ უნივერსიტეტში ნაკლებად ასწავლიან ამ საგანს. განსაკუთრებულმა სპეციალმა უმაღლესმა სასწავლებლებმაც ამ ბოლოს დროს, რაკი ძირითადს ცვლილებას მოელიან თავიანთის საქმისას, სრულად მოსპეს ახალ მოსწავლეთა მიღება.

ამ სახით კრიზისმა რამდენსამე წელს გასტანა, კითხვა არ უნდა, მიწადმოქმედების საზიანოდ. კრებაც სწორედ იმ დროს მოხდა, როცა მეურნენი დაღონებულნი იყვნენ მოუსავლობისა გამო და იმიტომ გამართეს თათბირი ამ საყურადღებო საგნის თაობაზედ. ერთნი კრებაზედ მოსულ მეურნეთაგანი ამბობდნენ, სააგრონომიო სწავლა-ცოდნის გასავრცელებლად საჭიროა უფრო განსაკუთრებული სამეურნეო სასწავლებლებიო, სხვანი-კი უფრო იმის მომხრენი იყვნენ: ისევ ისა სჯობია, რომ უნივერსიტეტებში გავაძლიეროთ სამეურნეო საგნების სწავლაო. კრებამ თითქოს მოარიგა ეს ორი აზრი და შემდეგი დაადგინა: მართალია, ძლიერ საკეთილო და ნაყოფიერია მოქმედება განსაკუთრებულ სამეურნეო სასწავლებელთა, მაგრამ ამასთანავე საჭიროა გაძლიერდეს სამეურნეო საგნების სწავლება უნივერსიტეტშიო.

ჯერ-ჯერობით არ ვიცით, წარუდგინა კრებამ ეს თავისი აზრი მთავრობასა და ითხოვა მისი განხორციელება თუ არა, მაგრამ იმედია, ამ აზრს მხედველობაში იქონიებს სახელმწიფო ქონებათა ის კომისია, რომელსაც მინდობილი აქვს უმაღლესს საგრონომიო სასწავლებლებში ცვლილებათა მოხდენა. სამწუხაროდ, გაზეთებში აღარა ისმის-რა ამ კომისიის მოქმედების შესახებ. მხოლოდ ეხლა-ხან ხმა გავრცელდა, კვლავ მიიღებენ ალექსანდრეს სასოფლო მეურნეობის სასწავლებელში, მოსწავლეებსაო, და ეს ამბავი მგონი იმის ნიშანი უნდა იყოს, რომ უმაღლესის სამეურნეო სწავლა-განათლების კრიზისი მალე საკეთილოდ გათავდება.

## უცხოეთი

**ინგლისი**. ჯერ კიდევ ბევრი დროა საზოგადო არჩევანებამდე, მაგრამ სამზადისს ეხლავე შეუდგნენ. ლიბერალები ლონდონსა და მთელს ინგლისში მრავალს ადგილას ჰმართავენ კრებას თავიანთის პროგრამის საწვლილებლადა და გამოსარკვევად. პირველად ეგონათ ლიბერალები ირლანდიის საქმეს დაიხვევენ ხელზედ და ისე გაუმკლავდებიან კონსერვატორებსაო, მაგრამ ამ ბოლოს დროს აღმოჩნდა, რომ ლიბერალები უმთავრესს ყურადღებას მიაქცევენ სხვა მხარეებს მარკიზ სალისბერის საშინაო პოლიტიკისას და სხვათა შორის ირლანდიის საქმესაც იარაღად გამოიყენებენ.

ბელგიურს გაზეთს „Indépendance Belge“-ში რამდენიმე საყურადღებო წერილი დაიბეჭდა ინგლისის საზღვაო-სამხედრო საქმის შესახებ. ავტორი წერილებისა თავს იმალავს ფსევდონიმით „Nauticus“-ით, მაგრამ წერილებს ეტყობა, რომ ავტორი დიდი მცოდნეა ინგლისის ფლოტის ვითარებისა და უთუოდ ინგლისელი უნდა იყოს. მაშ აბა ვინ დაიწყებდა ტირილს ინგლისის ვარმისა გამო, თუ არ ინგლისელი? შეიძლება სთქვას ვინმე, განა ლიბერალებს თავიანთი გაზეთი არა აქვთ, რომ სხვა გაზეთს მიჰმართესო. ეს მართალია, მაგრამ აი რა მიზეზით არ დაბეჭდავდნენ ამ გვარს წერილებს ინგლისელები თავიანთს გაზეთში. ინგლისელები თავიანთს ფლოტს უპირველეს ფლოტად ჰხადიან და მეტად საჩოთიროა მათთვის იმის ნაკლულევანების შესახებ სჯა-ბაასი. ხოლო ეხლა, როდესაც ბელგიურმა გაზეთმა დაბეჭდა ზემოხსენებული წერილები „Nauticus“-ისა, ინგლისის ჟურნალ-გაზეთებიც ხმას ამოიღებენ. ლიბერალებიც მაგრად ჩაჰკიდებენ ამ გა-

---

ერთბაშად სადმე გადაასახლეთო. საკვირველიც არ იქნება, თუ ყველა ავაზაკი და ავაზაკთა თანამგრძნობი ვართ: ასეთს კაცებს ჩვენი კანონმდებლობა, გადასახლებას-კი არა, მეტს სასჯელსაც მიუსჯის და მაშინ დადგება ბ-ნის „კანისათვის“ სანატრელი დრო. დაეპატრონება დაცალიერებულს მაზრას და დაიწყებს კუდის ქნევას.

მაგრამ მართალია-კი, რომ ჩვენი ხალხი ავაზაკებს თანაუგრძნობს და ავაზაკთა მოქმედება მოსწონს? რა მოგახსენოთ! გურულების გამო ამბობენ, თავ-მოყვარე და გამჭრიახი გონების პატრონი ხალხიაო, და „კანის“ სიტყვებიდგან-კი ის გამოდის, რომ თავ-მოძულე და სრულიად უგუნური ხალხი ყოფილა. ავაზაკები ძარცვავენ და ჰყვლეფავენ ხალხს, ავაზაკთა წინააღმდეგ მიღებული ღონისძიებანი აწიოკებს და არბევს იმავე ხალხს და წარმოიდგინეთ ამ ხალხის დამთხვეულობა, რომ ხალხს მოსწონს ავაზაკი, ხალხი თანაუგრძნობს ავაზაკთა მოქმედებას, ე. ი. ხალხს მოსწონს, რომ იმას სძარცვავენ და ჰყვლეფავენ. ამაზედ მეტი უცნაურობა, ამაზედ მეტა საკვირველება განა წარმოსადგენია!

ესეც არაფერი. გურულები ზარმაცები არიანო, უბოდიშოდ ჰლალადებს ბ-ნი „კანი“: და ზარმაცობა ჰბადავს ავაზაკობასო. ვინ იტყვის, რომ ზარმაცობა კარგი იყოს, ვინ იტყვის, რომ ზარმაცობა არ იყოს ყოველ გვარის ბოროტების დედა, მაგრამ ზარმაცობაც არის და ზარმაცობაც. მთელის გურიის მკვიდრს ერთბაშად რომ ზარმაცობის ბრალი დასდოთ, ეს იგივე იქნება, რომ ამ ხალხს უსაქმურები უწოდოთ. ხოლო უსაქმურია ჩვენი ხალხი, თუ არა? ბ-ნის „კანის“ პროექტს შემდეგ რა დაგვემართება, რა მოგახსენოთ, ხოლო ახლა ჩვენში უსაქმურობას ვერ შევნიშნავთ. ამის დასასაბუთებლად ნება მიბოძეთ ბ-ნს „კანს“ ვკითხო:

ა. გურულები სჭამენ და სვამენ რასმე, თუ არა?

ბ. სახლებში სცხოვრობენ, თუ მინდვრად და ტყეში?

გ. ტიტვლები დადიან, თუ ტანისამოსი აქვთ?

დ. სახელმწიფო და სხვა გარდასახადს იხდიან, თუ აზატები არიან?

მართალია, ბ-ნი „კანი“ მეტის-მეტად კადნიერი და თამამია, მაგრამ ვგონებ იმდენად ვერ გაკადნიერდება, რომ გურულების გამო სთქვას, არაფერს სვამენ და სჭამენ, სახლებში არა სცხოვრობენ, ტიტველნი დადიან და არავითარს გარდასახადს არ იხდიანო. ყოველისავე ამის და ათასის სხვა მოთხოვნილების გასწორებას ხომ ხარჯი უნდა და ხარჯს—შრომა და საქმობა. ნუ თუ ოთხისა თუ ხუთის ნაავაზაკევი და ნიტაცური დაარჩენს გურიას, მით უმეტეს მაშინ, როცა გურული ავაზაკები ისევ გურიაში ავაზაკობენ! აქედამ სჩანს, რომ გურული კაცი უსაქმური არა ყოფილა და, თუ უსაქმური არ არის, ზარმაცობას რაღა საბუთით სწამებთ, ბ-ნო „კანო“!

თუ თქვენ არ იცით, ბ-ნო „კანო“, მე მოგახსენებთ, რომ გურიაში რა საქმეც უნდა აიღოთ, ყველაფერს თითონვე გურულები აკეთებენ და სხვა კაცს აქ სანთლითაც ვერ მოსძებნით. გურიაში მხვნელ-მთესველია ვინმე და გურულია, დურგალი გურულია, მჭედელი გურულია, კალატოზი გურულია, მეჭურჭლე გურულია, მხერხავი გურულია, მეწაღე გურულია, მკერვალი გურულია, ალებ-მიმცემი და ვაჭარი ხომ, რაღა თქმა უნდა, გურულია. ამათგანი ვინც თავისს მაზრაში საქმეს ვერ ჰშოულობს, სხვაგან მიდის და სხვაგან საქმობს. ამიტომაა რომ გურულს კაცს ბლომად შეხვდებით ბათუმსა, ფოთსა, ქუთაისსა, ტფილისსა, ბაქოსა და კავკასიის სხვა ქალაქებში. ამას გარდა, იშვიათია ისეთი რკინის გზის სადგური, რომ გურულს რაიმე საქმე არ ებაროს.

ყოველისავე ამისაგან რა გამოდის? ის, რომ გურული კაცი ზარმაცია, ე. ი. უსაქმური? განა უსაქმობის ნაყოფია, რომ გურიის სიმინდი ასი ათას ფუთობით გადის საზღვარ გარედ და გურული თამბაქო არა თუ ადგილობრივს ქალაქებში, არამედ რუსეთის ქალაქებშიაც იგზავნება?

როგორც გენებოთ ბ-ნო კაი... უკაცრავად ...„კანო“! თუ-კი დაგიჯერებენ, თქვენის სურვილისამებრ სჭერით და ჰკერეთ! მაგ აბდა-უბდასა და ცილის-წამებას ისა არა სჯობდა, რომ საქმეს ჩაჰკვირვებოდით, გამოგეწვლილათ ყოველივე კერძოობა ჩვენის გასაჭირისა და ისე დაგეწესათ თქვენი აზრი? რატომ არ იცით, რომ

წყლულსა დანა ვერა ჰკურნებს,
გაჰკვეთის, ანუ გაამსივნებს?

თქვე დალოცვილო, ისეთ ნაირად-კი დაასათაურეთ თქვენი წერილი, რომ გვეგონა, ნოეს მტრედად მოევლინებოდით მრავალ-ტანჯულს გურიას და გვასწავლიდით რომელსამე უებარს წამალს ამ სამწუხარო წყლულისას, ან მიზეზს მაინც დაასახელებდით, მაგრამ ამის ნაცვლად მხოლოდ ცილის-წამებითა და ცოცხალ-ცოცხალის ტყუილით აავსეთ თქვენი წერილი. როგორ გეკადრებათ, რომ ისარს ისვრით და მშვილდს-კი ჰმალავთ, ერთს თვალებში აფურთხებთ და მეორეს კუდს უქნევთ და ელაქუცებით. ასეთის ლაქუცითა და კუდის ქნევით გინდათ ფონს გახვიდეთ! განა არ გაგიგონიათ:

პირფერობა, უკან ძრახვა
არა თქმულა სავარსაგო;
სჯობს, ტყუილით ქვე ყოფნასა,
ზე სიმართლით აკიბარგო?

არც ის გაგიგონიათ, რომ

სამტყუნისაგან მტყუანსა
ეს მიხვდეს სარგებელია:
მართალი თქმულიც გაუხდეს
ცუდი და ურგებელია?

ყოველს შემთხვევაში მე გზა დამილოცნია, მხოლოდ ври, да знай мѣру!

დათიკო ვერმიცანაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

რემოებას ხელს და ღონიერს იერიშს მიიტანენ კონსერვატორთა სამინისტროზედ.

რომ ეს აზრი საბუთიანი აზრია, ამას შემდეგიც ამტკიცებს. როდესაც ამ წინაზედ საზოგადოებათა პალატაში baasi მოხდა სამხედრო ბიუჯეტის თაობაზედ, ოპოზიციამ სწორედ ისეთი საბუთები მოიხსენია, როგორიც „Nauticus“-სა აქვს მოხსენებული თავისს წერილებში. ოპოზიციის მომხრენი ამბობდნენ, ესე რად არის, რომ 50 მილიონი გირვანქა სტერლინგი თანასწორად უნაწილდება ფლოტსა და ხმელეთის ჯარსაო, როდესაც ხმელეთის ჯარს ჩვენთვის არაფერი გაუკეთებია, ხოლო ფლოტმა დიდი სამსახური გაგვიწიაო. ოპოზიციავე ამტკიცებდა, თუმცა ჩვენი სამხედრო ბიუჯეტი ერთი ორად აღემატება საფრანგეთისა და გერმანიის ბიუჯეტს ცალკ-ცალკე, მაგრამ ჩვენი ხმელეთის ჯარი იმათს ჯარს შედარებითაც ვერ შეედრებაო—არც რაოდენობითა და არც ღირსებითაო. ოპოზიციას გაეპასუხა სამხედრო მინისტრი სტენგოპი. სტენგოპმა ორი საათი ილაპარაკა, მაგრამ ვერ გასჭრა-კი იმისმა სიტყვამ და კენჭის ყრა ბიუჯეტის პირველის ნაწილის შესახებ შემდეგისათვის გადასდეს. მთავრობის მომხრე გაზეთმა „Times“-მაც-კი სთქვა: ვიდრე მთავარს სამხედრო უწყებაში ბოროტ-მოქმედებანი არ მოისპობა, მანამდე საზოგადოება აგრე უნდობლად მოეკიდება ყოველს მთავრობის მიერ ნაუწყებს ცნობებსაო.

სჩანს, სალისბერის სამინისტრო მაგრად ვერ არის, რადგანაც მართლა არ შეუძლიან სთქვას, რომ ჯარისა და ფლოტის საქმე კარგად მიდისო.

არც ლონდონის ქალაქის არჩევნები გადასწყდა ტორიების სასარგებლოდ. ლონდონის საგრაფოს წინანდელს საბჭოში 49 კონსერვატორი იყო და 69 პროგრესისტი, ხოლო ეხლა არჩეულ იქმნენ 84 პროგრესისტი და 34 კონსერვატორი. კონსერვატორები ძლიერ შეაკრთო ამ ამბავმა, რომელიც კარგი ნიშანი ვერ არის მომავალ საზოგადო არჩევანებისა. სამაგიეროდ ლიბერალები გამარჯვებულნი დარჩნენ. ლიბერალთა კლუბში დიდი მეჯლისი გაიმართა იმავე საღამოს, როდესაც ზემოხსენებული არჩევნები გათავდა.

ამ სახით სალისბერს ძლიერ გაუჭირდა საქმე დ სხვა აღარაფერი დარჩენია იმის მეტი, რომ საგარეო პოლიტიკით როგორმე მოიგოს საზოგადოების გული. ამიტომ საფიქრებელია, რომ ეგვიპტის ახალგაზდა ქედივის წადილი სუდანთან ომის დაწყებისა ლონდონელ პოლიტიკოსების საქმე უნდა იყოს.

## დეპეშა

9 მარტი

**ბერლინი.** გენერალმა კაპრივიმ, იმპერატორის სურვილისამებრ, სრულიად უარი სთქვა სამსახურიდგან გადადგომისა, ხოლო სარწმუნოებათა მინისტრის ცედლიცის სამსახურიდგან გადადგომა-კი შეიწყნარა იმპერატორმა. იმპერატორს ბერლინში ამ კვირის გასულზედ ადრე არ მოელიან.

მეორე შინაგან სესხის მომგებიან ბილეთების 3 მარტს მომხდარის მე-52 ტირაჟის დროს 500 მანათიანი მოგებანი ჰხვდა შემდეგს ბილეთებს:

| №№ ბილეთ. | №№ სერ. | №№ ბილეთ. | №№ სერ. | №№ ბილეთ. | №№ სერ. |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | 809 | 19 | 5133 | 34 | 2299 |
| 1 | 4866 | 19 | 5917 | 34 | 4306 |
| 1 | 5271 | 19 | 8826 | 34 | 6252 |
| 1 | 10115 | 19 | 11358 | 34 | 9779 |
| 2 | 990 | 19 | 17582 | 34 | 10931 |
| 2 | 3523 | 19 | 17963 | 34 | 12649 |
| 2 | 5182 | 20 | 549 | 34 | 13757 |
| 2 | 9290 | 20 | 1521 | 34 | 17192 |
| 2 | 13494 | 20 | 2065 | 34 | 19998 |
| 3 | 6194 | 20 | 7352 | 35 | 290 |
| 3 | 12316 | 20 | 13335 | 35 | 1411 |
| 3 | 13248 | 20 | 14852 | 35 | 3298 |
| 3 | 17453 | 20 | 16386 | 35 | 4087 |
| 4 | 1355 | 21 | 13830 | 35 | 9366 |
| 4 | 3779 | 21 | 14480 | 35 | 9814 |
| 4 | 7136 | 22 | 2734 | 35 | 10703 |
| 4 | 9360 | 22 | 2858 | 35 | 13138 |
| 4 | 11829 | 22 | 3812 | 36 | 373 |
| 4 | 12589 | 22 | 4512 | 36 | 14514 |
| 4 | 18722 | 22 | 6606 | 37 | 485 |
| 5 | 2864 | 22 | 12181 | 37 | 1639 |
| 5 | 7019 | 22 | 17134 | 37 | 1737 |
| 5 | 17770 | 22 | 18175 | 37 | 4152 |
| 5 | 19065 | 23 | 4823 | 37 | 8631 |
| 6 | 6526 | 23 | 5065 | 37 | 9486 |
| 6 | 8414 | 23 | 7591 | 37 | 11011 |
| 6 | 12831 | 23 | 9042 | 38 | 4200 |
| 6 | 17511 | 23 | 13522 | 38 | 11875 |
| 7 | 7454 | 23 | 14052 | 38 | 14016 |
| 7 | 10559 | 23 | 19629 | 38 | 16902 |
| 7 | 12794 | 24 | 2721 | 38 | 19458 |
| 7 | 18224 | 24 | 6425 | 39 | 3757 |
| 8 | 3164 | 24 | 19188 | 39 | 11599 |
| 8 | 5049 | 24 | 19565 | 40 | 1616 |
| 8 | 13144 | 25 | 2879 | 40 | 1653 |
| 8 | 13216 | 25 | 2905 | 40 | 3783 |
| 8 | 15115 | 25 | 3362 | 40 | 8489 |
| 8 | 17662 | 25 | 3365 | 40 | 9076 |
| 8 | 18947 | 25 | 5209 | 40 | 12319 |
| 9 | 3497 | 25 | 9662 | 40 | 18070 |
| 9 | 4280 | 25 | 9823 | 41 | 3616 |
| 9 | 4374 | 25 | 13923 | 41 | 5796 |
| 9 | 4991 | 26 | 2849 | 42 | 2945 |
| 9 | 6380 | 26 | 10645 | 42 | 3131 |
| 9 | 7530 | 26 | 15076 | 42 | 13058 |
| 9 | 8363 | 26 | 16445 | 42 | 13145 |
| 9 | 10267 | 27 | 4002 | 42 | 17682 |
| 10 | 14121 | 27 | 13893 | 43 | 7202 |
| 10 | 15781 | 27 | 16285 | 43 | 8755 |
| 10 | 18234 | 27 | 19083 | 43 | 11135 |
| 11 | 10804 | 28 | 480 | 43 | 18714 |
| 11 | 19095 | 28 | 759 | 44 | 15357 |
| 12 | 288 | 38 | 3087 | 44 | 15832 |
| 12 | 2687 | 28 | 12233 | 45 | 3614 |
| 12 | 3227 | 28 | 14655 | 45 | 6326 |
| 12 | 6738 | 28 | 18531 | 45 | 11047 |
| 12 | 7028 | 29 | 4931 | 45 | 14119 |
| 12 | 13150 | 29 | 12174 | 45 | 16767 |
| 12 | 14505 | 29 | 14290 | 45 | 18707 |
| 13 | 3627 | 29 | 16730 | 46 | 240 |
| 13 | 9293 | 29 | 17589 | 46 | 6010 |
| 13 | 13827 | 30 | 6739 | 46 | 8182 |
| 13 | 15072 | 30 | 8146 | 46 | 15295 |
| 13 | 15451 | 30 | 11092 | 46 | 17849 |
| 13 | 15853 | 30 | 13163 | 47 | 5309 |
| 13 | 19497 | 30 | 16560 | 47 | 5654 |
| 14 | 9526 | 30 | 18574 | 47 | 5816 |
| 14 | 11865 | 31 | 679 | 47 | 8884 |
| 14 | 13619 | 31 | 11190 | 47 | 12085 |
| 14 | 15111 | 31 | 11217 | 48 | 3187 |
| 14 | 17314 | 31 | 14567 | 48 | 3872 |
| 15 | 11513 | 31 | 15800 | 48 | 4462 |
| 16 | 305 | 31 | 17755 | 48 | 11278 |
| 16 | 19709 | 31 | 18496 | 48 | 13377 |
| 17 | 1865 | 32 | 4879 | 48 | 17948 |
| 17 | 2114 | 32 | 8767 | 48 | 18485 |
| 17 | 2963 | 32 | 11314 | 48 | 18568 |
| 17 | 5038 | 32 | 11563 | 49 | 1775 |
| 17 | 8256 | 32 | 17106 | 49 | 6271 |
| 18 | 2818 | 32 | 19195 | 49 | 8171 |
| 18 | 2913 | 33 | 2543 | 49 | 16443 |
| 18 | 4842 | 33 | 9017 | 50 | 1622 |
| 18 | 9083 | 33 | 9428 | 50 | 6441 |
| 18 | 15175 | 33 | 13759 | 50 | 6493 |
| 19 | 1018 | 33 | 18806 | 50 | 8374 |
| 19 | 2222 | 33 | 19405 | 50 | 18688 |
| 19 | 4204 | 34 | 2129 | | |

ნომრები ტირაჟში გამოსულ სერიებისა.

327, 1390, 10636, 15993, 4740, 422, 16436, 19039, 10430, 13654, 12767, 4449, 16595, 11632, 14137, 4769, 3133, 5434, 4112, 5408, 18586, 3089, 2529, 12705, 7178, 16639, 18700, 12962, 16245, 5245, 11391, 15245, 4908, 11800, 19790, 17152, 4942, 19842, 4111, 8606, 8430, 9687, 275, 18692, 3437, 15731, 18940, 17857, 7922, 17645, 19439, 9342, 8460, 16167, 14694, 8311, 15659, 18197, 17771, 5120, 983, 6399, 16537, 4168, 11286, 16162, 8365, 8165, 4552, 12066, 17517, 1514, 10715, 7057, 6932, 6624, 11673, 1616, 737, 19187, 13549, 2686, 19352, 4830, 3619, 1344, 16322, 2443, 3160, 8303, 11222, 1554, 15929, 1246, 5325, 10186.

პეტერბურგის ბირჟა, 6 მარტი.

| | მყიდველისა. | გამყიდველისა. | გაყიდულისა. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო . | 7, 92 | 7, 95 | — ,, |
| ტამოჟნის კუპონები . | $158^1/_2$ | $159^1/_2$ | — ,, |
| მანეთიანი ვერცხლის ფული . . . . | — ,, | 1, 16 | — ,, |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . . | — ,, | — ,, | 236 |
| —მეორისა . . . . | — ,, | — ,, | $220^1/_2$ |
| სახელმწიფო თავად-აზნაურობის ბანკის მომგებ. ფურცელი . . | 198 | — ,, | $200^1/_4$ |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა: | | | |
| 6%. . . . . . | — ,, | — ,, | 102 |
| 5%. . . . . . | — ,, | — ,, | $99^1/_2$ |
| ქუთაისის ბანკისა 6%. | — ,, | — ,, | 102 |
| 5% ობლიგაც. ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა | — ,, | — ,, | $99^1/_2$ |

# განცხადებანი


ყველგან!!!

საპონი ოლეო-ვაზელინი

როიალ-კონგო!

ახალი ამბავი!!!

სურნელოვანი წყლები

FIN DE SIÈCLE

და სხვა საპარფიუმერო და საკოსმეტიკო საქონელი

ფაბრიკისა

„ვიქტორია რეგინასი“

ე. გოდლო და ამხ.

მოსკოვში.

(10—3)


„წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების“ გამგეობა ამით აცხადებს, რომ მან განიზრახა ბეჭდვა პატარა-პატარა წიგნისა ხალხში გასავრცელებლად, რაისათვისაც იგი იწვევს მსურველთ ხელნაწერი წარმოუდგინონ „საზოგადოების“ გამგეობას პირველ იანვრამდე 1893 წლისა „საზოგადოების“ კანცელარიაში (ტფილისის ბანკის ქარვასლა, №№ 125 და 126) ან ფოსტით ამ ადრესით, ან პირადად დილის 10 საათიდგან ნაშუადღევის 2 საათამდე. რომელ ხელნაწერსაც-კი „გამგეობა“ მოიწონებს, შემადგენელს მისცემს

## ჯილდოს.

პირველის ხარისხის ჯილდოა 50 მან., მეორისა—40 მან., მესამისა—25 მ.

ხელნაწერი უნდა იყოს არა უდიდეს 2 ბეჭდურის, თაბახისა 50—60 გვერდისა (ფორმატის გაცნობა მსურველთ შეუძლიანთ „საზოგადოების“ კანცელარიაში). ეს შეადგენს დაახლოვებით 4—5 თაბახს უბრალო საწერ ქაღალდისას, შუათანა ხელით დაწერილს. ხელნაწერი უნდა იყოს მდაბიო, კარგის ქართულის ენით დაწერილი, და უნდა შეეხებოდეს ან ისტორიას, ან ბუნების-მეტყველებას, ან შეადგენდეს მოთხრობას ორიგინალურს ანუ თარგმნილს. შემადგენელმა ან ავტორმა ხელნაწერი უნდა წარმოადგინოს ორ პაკეტში შემდეგის წესით: ერთ პაკეტში უნდა იყოს ხელნაწერი რაიმე ნიშნით (მაგ ანდაზა, გამოცანა), მეორეში სახელი და გვარი ავტორისა და იგივე ნიშანი, რომელიც პირველს პაკეტში იქნება. გამგეობა მეორე პაკეტს მხოლოდ მაშინ გახსნის, თუ ხელნაწერს მოიწონებს სრულად, თუ პირობით (შესწორებით, ან შემოკლებით); თუ გამგეობა ხელ-ნაწერს დაიწუნებს, უკანვე დაუბრუნებს ნიშნის წარმომდგენელს.

გამგეობა მაშინვე შეუდგება მოწონებულის ხელნაწერის ბეჭდვას და პირველი გამოცემა 1,200 ეგზემპლიარისა „საზოგადოების“ კუთვნილება იქნება.

მსურველთ შეუძლიანთ კანცელარიაში გაიცნონ სია იმ წიგნებისა, რომელიც სასურველია გადმოკეთდეს, ან გადმოითარგმნოს.

(10—0—4)


## პირველი ზეთის გამოსახდელი ქარხანა ი. თაიროვისა და კ. ალიხანოვისა ქალ. ტფილისში.

დიდ-მარხვისათვის ქარხანაში ისყიდება ნარდად მყიდველთათვის **ზეთები**: ა) საჭმელად: შირბახტისა, სელისა, სოკოსი, კანაფისა, ბ) კანდელისა, გ) მოხარშული, სადებავ წამლებისთვის, აგრეთვე ჩენჩო ძროხებისა და ხარების საკვებად. წვრილ წვრილად შირბახტის ზეთი გირვანქიან და ორ გირვანქიან შუშებით ისყიდება შემდეგს მაღაზიებში: 1) სააფთიაქო საქონლით მოვაჭრე კავკასიის ამხანაგობაში, 2) კოჯანის მაღაზიებში, გოლოვინის პროსპექტზედ, დობრჟანსკის სახლის პირდაპირ და ვარანცოვის ძეგლის მახლობლად, 3) ზ. ალიხანოვთან, გოლოვინის პროსპექტზედ, დობრჟანსკის სახლის პირდაპირ. 4) კ. მირზახანოვთან პუშკინის ქუჩაზე, 5) გრ. ბეჟანოვთან მიხეილის ქუჩა, 6) დ. მაკაროვთან ნიკოლოზის ქუჩა, საკუთ. სახლი, 7) ვარვაროვთან, გოლოვინის პროსპექტი, ორბელიანის სახლის პირდაპირ და 8) სარაჯოვთან გოლოვინის პროსპექტი, ბაბანასოვის სახლი. ყოველგვარ ზეთის წვრილ წვრილად ყიდვა შეიძლება საკუთარს საწყობებში: 1) იარმუკაზე, ბუდდანოვის სახლში, ყასბების გვერდზე, 2) თათრის მოედანი, ქალაქის ფიცრის ფარდული, 3) ოლგას ქუჩა, მებურნუთოვის სახლი, ქვის ნახშირის საწყობთან და 4) ავლაბრის მოედანი, ქალაქის ფიცრულის ფარდული № 1. (10—7)



კერძო ექიმი

## პრეობრაჟენსკი

არჩენს ელექტრონითა: ფარადისებურ და გალვანისებურ ხელისა და ფეხის სიდამბლეს, ნევრესის სნეულებას, ნევრესის ქარსა და კონტრაქტურას (გაზაკის ხასკვს); არჩენს აგრეთვე სიდამბლისაგან ყრუდ, ბრმად და მუნჯად ჩავარდნილთა.

ამას გარდა, სწამლობს დედათა სნეულებას და სიფილისს, ავადმყოფებს მიიღებს ყოველ დღე: დილის ცხრა საათიდგან 12 საათამდე და საღამოთი 7—8-მდე.

ადრესი: მიხეილისა და ელისაბედის ქუჩების შესახვევში, № 9, სახლი პაპოვისა. (10—8)



დაიბეჭდა და ისყიდება

ქართველთა ამხანაგობის და წერა-კითხვის წიგნის მაღაზიებში და აგრეთვე „ამხანაგობის“ ყველა აგენტებთან ახალი ქართული წიგნი

## კანდიდ

მოთხრობა

ვოლტერისა

ფრანცულით ნათარგმნი

თ. სახოკიას მიერ

ფასი ექვსი შაური

იქვე ისყიდება თ. სახოკიას მიერვე ნათარგმნი

„უკანასკნელი დღე სიკვდილით დასასჯელისაი“

ვ. ჰიუგოსი

ფასი ექვსი შაური